Visa კონსიერჟის მომსახურების პირობები

წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს Visa კონსიერჟის მომსახურებასთან დაკავშირებულ წესებსა და პირობებს.

1. კლიენტისთვის ცნობილია და აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ:
   - Visa კონსიერჟის მომსახურების დეტალური პირობები/პაკეტი განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდზე https://www.visa.com.ge/en_GE/pay-with-visa/promotions/concierge.html
   - Visa კონსიერჟის მომსახურებით კლიენტს შეუძლია ისარგებლოს მისთვის Visa ბარათის გადაცემის შემდეგ.
   - Visa კონსიერჟის მომსახურების მიწოდება ხორციელდება ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. მომსახურებას ახორციელებს კონსიერჟის ოპერატორი.
   - Visa კონსიერჟის საკონტაქტო ინფორმაცია და საკონტაქტო ინფორმაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება კლიენტს ეცნობება კონსიერჟის სამსახურის მიერ.
   - Visa კონსიერჟი კლიენტს უკავშირდება ბანკის მიერ მიწოდებულ კლიენტის საკონტაქტო რეკვიზიტებზე.
   - Visa კონსიერჟის მომსახურებას ახორციელებს Visa -ის პროვაიდერი კომპანია და შესაბამისად, ამ დოკუმენტით დარეგულირებული მომსახურების განხორციელებასა და/ან მის ხარისხზე პასუხისმგებელია მხოლოდ Visa კონსიერჟი.

2. მომსახურების პაკეტის ფარგლებში გათვალისწინებულია:
   - ფართო სპექტრის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება
   - დაჯავშნის, შეკვეთის და საორგანიზაციო მომსახურება საერთაშორისო მასშტაბით
   - კანონმდებლობით ნებადართული და კონსიერჟის მომსახურებასთან გონივრულად დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის დავალების შესრულება

3. კლიენტი ვალდებულია:
   - Visa კონსიერჟის მომსახურებით ისარგებლოს მხოლოდ თავად;
   - მომსახურებით სარგებლობისას Visa კონსიერჟის ოპერატორს მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია/მონაცემები.

4. Visa კონსიერჟი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ არ გასწიოს მომსახურება, თუ ის მიიჩნევს, რომ:
   - ამგვარი მომსახურების გაწევა ეწინააღმდეგება რომელიმე კანონს ან მოქმედ რეგულაციებს, ან
   - ამგვარი მომსახურება Visa კონსიერჟის მომსახურებისთვის არ არის განსაზღვრული, ან
   - ამგვარი მომსახურება არ შედის Visa კონსიერჟის მომსახურების პაკეტში, ან
   - ამგვარი მოთხოვნის შესრულება Visa კონსიერჟის მომსახურების პროვაიდერისგან მოითხოვს არაგონივრულად დიდ ძალისხმევას.

5. Visa კონსიერჟი უფლებას იტოვებს ნებისმიერ დროს ახსნა-განმარტების გარეშე უარი განაცხადოს კლიენტისგან მიღებული დავალების შესრულებაზე.

6. Visa კონსიერჟი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე, თუ ის ვერ შეძლებს მოთხოვნილი მომსახურების/საქონლის მიწოდებას, ან თუ აღნიშნული მომსახურების/საქონლის მიწოდება იგვიანებს.

7. Visa კონსიერჟის მიერ კლიენტის მოთხოვნით შეძენილი ნებისმიერ ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან ანულირებას. იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიება გაუქმდება უშუალოდ არტისტის/პრომოუტერის მიერ, ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება აღნიშნულ არტისტს/პრომოუტერს, და Visa კონსიერჟი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ განცდილ ზარალზე ან თანმდევ ნებისმიერ შედეგზე.

8. თუ კონსიერჟის მომსახურების პირობებით/პაკეტით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, კლიენტმა უნდა გადაიხადოს მის მიერ მოთხოვნილი მომსახურების/საქონლის ღირებულება, ასევე უნდა აანაზღაუროს მოთხოვნილ მომსახურებასთან/შეკვეთასთან დაკავშირებული ნებისმიერი დამატებითი ხარჯი. კლიენტი თანახმაა, რომ სადაც ეს შესაძლებელია, გადახდისთვის გამოიყენებს Visa -ის ბარათს.

9. კლიენტისთვის მომსახურების/საქონლის მიწოდებაზე პასუხისმგებელია უშუალოდ ამ საქონლის/მომსახურების მომწოდებელი. კომპანია Visa ან ბანკი არ არის პასუხისმგებელი მომწოდებლის მიერ რაიმე ქმედების შეუსრულებლობაზე/არაჯეროვნად შესრულებაზე ან დაგვიანებაზე და აღნიშნული ფაქტით კლიენტისთვის მიყენებულ ზარალზე.

10. კლიენტისათვის ცნობილია, რომ მომსახურება შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი საქართველოს ტერიტორიაზე. მაგალითად, შეიძლება მოქმედებდეს შეზღუდვები საერთაშორისო ან შიდა კონფლიქტების გეოგრაფიულ ზონებთან მიმართებით, არსებული ინფრასტრუქტურა არ იყოს ადეკვატური ამგვარი მომსახურების გაწევისთვის ან არსებობდეს კანონის აკრძალვა მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით.

11. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, სატელეფონო საუბრები, რომლებიც წარმოადგენს მომსახურების ნაწილს, იწერება Visa კონსიერჟის ოპერატორის მიერ. აღნიშნული ჩანაწერი ინახება 6 [ექვსი] თვის განმავლობაში, უსაფრთხოების, მონიტორინგის და მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

12. კლიენტი აცნობიერებს და თანახმაა, რომ სერვისის მიწოდების მიზნით, Visa კონსიერჟი უფლებამოსილია კლიენტის შესახებ პერსონალური ინფორმაცია გადასცეს ლოკალურ ან საერთაშორისო სივრცეში. ნებისმიერ შემთხვევაში, Visa კონსიერჟი ვალდებულია პატივი სცეს და განუხრელად დაიცვას პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესები და პირობები. Visa -ის პერსონალური მონაცემების დაცვის ინსტრუმენტების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ბმულზე: www.Visa.com/privacy.

13. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს კლიენტის პროგრამაში მონაწილეობის უფლება. ასეთ შემთხვევაში, ბანკი კლიენტის ინფორმირებას განახორციელებს წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული წესით.